

**მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლაში
პლაგიატის Turnitin-ის პროგრამის გამოყენების წესი**

პრეამბულა

საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის თანახმად, უნივერსიტეტი აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გარკვეული ფორმების პრევენციის მიზნით იყენებს Turnitin-ის პროგრამას, რომლის გამოყენების ზოგადი წესებს ადგენს საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 ოქტომბრის N 63/19 ოქმით დამტკიცებული კეთილსინდისიერების პოლიტიკის დანართი N 1 - Turnitin-ის გამოყენების სახელმძღვანელო. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს სპეციალურ შემავსებელ ნორმებს, რომელიც ვრცელდება საქართველოს უნივერსიტეტის **მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის** ფარგლებში შესრულებულ ნაშრომებზე.

მუხლი 1.

ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებიც ხელმძღვანელობენ აკადემიურ ნაშრომებს, პროექტებს, რეფერატებს/სემესტრულ ნაშრომებს, ანდა უნივერსიტეტის სახელით აქვეყნებენ აკადემიურ ნაშრომებს, ვალდებული არიან რეგისტრირებულნი იყვნენ პლაგიატიზმის შემოწმების პროგრამაში Turnitin. ისინი, Turnitin-ით ახდენენ საკუთარი ნაშრომის პლაგიატზე შემოწმებას და სტუდენტების ნაშრომებში **კეთილსინდისიერების დარღვევის პრევენციას**.

მუხლი 2.

ყოველი სემესტრის დასაწყისში აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ქმნის შესაბამისი სწავლების საფეხურის ჯგუფს, მასში აწევრიანებს ყველა იმ სტუდენტს, რომელსაც ის უშუალოდ ხელმძღვანელობს, შემდეგ არეგისტრირებს დავალებას, რომელსაც ექნება სტუდენტების მიერ ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების, თანხვედრილი ადგილების დათვალიერების და გამოსწორების უფლება, დავალების საბოლოო წარდგენამდე.

მუხლი 3.

3.1. Turnitin-ის პროგრამაში ნაშრომის დამთხვევების იდენტიფიცირებისას პროგრამის სექციის - **ფილტრები და პარამეტრები**, საშუალებით უნდა გამოირიცხოს:

ა) ბიბლიოგრაფია;

- ბ) წყაროები, რომლებიც 10 სიტყვაზე ნაკლებია;
- გ) დამთხვევები, რომლებიც 10 სიტყვაზე ან 1%-ზე ნაკლებია.

3.2 წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პარამეტრებით დამთხვევების იდენტიფიცირების შემდეგ მოწმდება გამოვლენილი დამთხვევები. დამთხვევა დასაშვებია და შესაბამისად უნდა მოინიშნოს პროგრამაში, თუ ის:

- ა) წარმოადგენს სიტყვასიტყვით ციტირებას ან პერიფრაზს, თუმცა შესაბამისი აკადემიური სტილის დაცვით მითითებულია წყარო;
- ბ) წარმოადგენს ფაქტს, საყოველთაოდ ან/და დარგში მიღებულ ცოდნას;
- გ) წარმოადგენს ნორმატიული აქტის სიტყვასიტყვით ციტირებას ან პერიფრაზს;
- დ) წარმოადგენს პირის, დაწესებულების, ქვეყნის, წყაროს ან/და სხვა სახელწოდებას;
- ე) არ თავსდება ამ პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების კვალიფიკაციაში, თუმცა დამთხვევა არ შეესაბამება პლაგიატის განსაზღვრებას, რომელიც მოცემულია აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის მე-3 მუხლის 1.4 პუნქტში.

მუხლი 4.

წინამდებარე წესის 1-ლი მუხლით დადგენილი პროცედურების გავლის შემდეგ Turnitin-ის პროგრამაში ნაშრომის დამთხვევის მაჩვენებლის საბაკალავრო ნაშრომში 30%, სამაგისტრო ნაშრომში 25% და სადოქტორო ნაშრომში 20%, ხოლო ერთი წყაროდან 5%-იანი ზღვრის გადაჭარბება წარმოადგენს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის მე-5 მუხლის 1.8 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის დაწყების საფუძველს.